

## Translation of 2018 WSES guidelines: *The open abdomen in trauma and non-trauma patients*

### ღია მუცელი ტრავმულ და არა-ტრავმულ პაციენტებში: WSES 2018 გაიდლაინი

Federico Coccolini<sup>1\*</sup>, Derek Roberts<sup>2</sup>, Luca Ansaloni<sup>1</sup>, Rao Ivatury<sup>3</sup>, Emiliano Gamberini<sup>4</sup>, Yoram Kluger<sup>5</sup>, Ernest E. Moore<sup>6</sup>, Raul Coimbra<sup>7</sup>, Andrew W. Kirkpatrick<sup>2</sup>, Bruno M. Pereira<sup>8</sup>, Giulia Montori<sup>1</sup>, Marco Ceresoli<sup>1</sup>, Fikri M. Abu-Zidan<sup>9</sup>, Massimo Sartelli<sup>10</sup>, George Velmahos<sup>11</sup>, Gustavo Pereira Fraga<sup>8</sup>, Ari Leppaniemi<sup>12</sup>, Matti Tolonen<sup>12</sup>, Joseph Galante<sup>13</sup>, Tarek Razek<sup>14</sup>, Ron Maier<sup>15</sup>, Miklosh Bala<sup>16</sup>, Boris Sakakushev<sup>17</sup>, Vladimir Khokha<sup>18</sup>, Manu Malbrain<sup>19</sup>, Vanni Agnoletti<sup>4</sup>, Andrew Peitzman<sup>20</sup>, Zaza Demetrashvili<sup>21</sup>, Michael Sugrue<sup>22</sup>, Salomone Di Saverio<sup>23</sup>, Ingo Martzi<sup>24</sup>, Kjetil Soreide<sup>25,26</sup>, Walter Biffi<sup>27</sup>, Paula Ferrada<sup>3</sup>, Neil Parry<sup>28</sup>, Philippe Montravers<sup>29</sup>, Rita Maria Melotti<sup>30</sup>, Francesco Salvetti<sup>1</sup>, Tino M. Valetti<sup>31</sup>, Thomas Scalea<sup>32</sup>, Osvaldo Chiara<sup>33</sup>, Stefania Cimbanassi<sup>33</sup>, Jeffrey L. Kashuk<sup>34</sup>, Martha Larrea<sup>35</sup>, Juan Alberto Martinez Hernandez<sup>36</sup>, Heng-Fu Lin<sup>37</sup>, Mircea Chirica<sup>38</sup>, Catherine Arvieux<sup>38</sup>, Camilla Bing<sup>39</sup>, Tal Horer<sup>40</sup>, Belinda De Simone<sup>41</sup>, Peter Masiakos<sup>42</sup>, Viktor Reva<sup>43</sup>, Nicola DeAngelis<sup>44</sup>, Kaoru Kike<sup>45</sup>, Zsolt J. Balogh<sup>46</sup>, Paola Fugazzola<sup>1</sup>, Matteo Tomasoni<sup>1</sup>, Rifat Latifi<sup>47</sup>, Noel Naidoo<sup>48</sup>, Dieter Weber<sup>49</sup>, Lauri Handolin<sup>50</sup>, Kenji Inaba<sup>51</sup>, Andreas Hecker<sup>52</sup>, Yuan Kuo-Ching<sup>53</sup>, Carlos A. Ordoñez<sup>54</sup>, Sandro Rizoli<sup>55</sup>, Carlos Augusto Gomes<sup>56</sup>, Marc De Moya<sup>57</sup>, Imtiaz Wani<sup>58</sup>, Alain Chichom Mefire<sup>59</sup>, Ken Boffard<sup>60</sup>, Lena Napolitano<sup>61</sup>, Fausto Catena<sup>62</sup>

<sup>1</sup>General Emergency and Trauma Surgery, Bufalini Hospital, Viale Giovanni Ghirelli, 286, 47521 Cesena, Italy;

<sup>2</sup> Department of Surgery, Foothills Medical Centre, Calgary, Canada; <sup>3</sup>Virginia Commonwealth University, Richmond, VA, USA; <sup>4</sup>ICU Department, Bufalini Hospital, Cesena, Italy; <sup>5</sup>Division of General Surgery, Rambam Health Care Campus, Haifa, Israel; <sup>6</sup>Trauma Surgery, Denver Health, Denver, CO, USA; <sup>7</sup>Department of Surgery, UC San Diego Health System, San Diego, USA; <sup>8</sup>Faculdade de Ciências Médicas (FCM)–Unicamp Campinas, Campinas, SP, Brazil;

<sup>9</sup>Department of Surgery, College of Medicine and Health Sciences, UAE University, Al-Ain, United Arab Emirates; <sup>10</sup>Department of Surgery, Macerata Hospital, Macerata, Italy; <sup>11</sup>Department of Trauma, Emergency Surgery and Surgical Critical Care, Massachusetts General Hospital, Boston, MA, USA; <sup>12</sup>Second Department of Surgery, Meilahti Hospital, Helsinki, Finland; <sup>13</sup>Trauma and Acute Care Surgery and Surgical Critical Care Trauma, Department of Surgery, University of California, Davis, USA; <sup>14</sup>General and Emergency Surgery, McGill University Health Centre, Montréal, QC, Canada; <sup>15</sup>Department of Surgery, Harborview Medical Centre, Seattle, USA; <sup>16</sup>General Surgery Department, Hadassah Medical Centre, Jerusalem, Israel; <sup>17</sup>First Clinic of General Surgery, University Hospital/UMBAL/ St George Plovdiv, Plovdiv, Bulgaria; <sup>18</sup>General Surgery, Mozyr Hospital, Mozyr City, Belarus;

<sup>19</sup>ICU and High Care Burn Unit, Ziekenhuis Netwerk Antwerpen, Antwerpen, Belgium; <sup>20</sup>Department of Surgery, Trauma and Surgical Services, University of Pittsburgh School of Medicine, Pittsburgh, USA; <sup>21</sup>Department of Surgery, Tbilisi State Medical University, Kipshidze Central University Hospital, Tbilisi, Georgia; <sup>22</sup>General Surgery

Source: this paper is an abridged translation of: Coccolini F, Roberts D, Ansaloni L, et al. The open abdomen in trauma and non-trauma patients: WSES guidelines. World J Emerg Surg 2018;13:7, DOI 10.1186/s13017-018-0167-4.

Acknowledgements: this paper was translated by Georgian Surgical Association

Correspondence: Prof. Gia Tomadze. President, Georgian Surgical Association. President, Georgian Assoc. of Transplantologists. Director, General Surgery Clinic. Head, Transplantology Department, High Tech Medical Center. Surgery Department #2, Tbilisi State Medical University. 9 Tsinandali street, Tbilisi, 0144, Georgia. Mob.: +99 55 99 55 33 11. Phone/fax: +995 32 277 18 19. E-mail: giatomadze@global-erty.net

Licensee PAGEPress, Italy

Journal of Peritoneum (and other serosal surfaces) Translations: 111

This article is distributed under the terms of the Creative Commons Attribution Noncommercial License (by-nc 4.0) which permits any noncommercial use, distribution, and reproduction in any medium, provided the original author(s) and source are credited.

Department, Letterkenny Hospital, Letterkenny, Ireland; <sup>23</sup>Addenbrooke's Hospital, Cambridge, UK; <sup>24</sup>Klinik für Unfall-, Hand- und Wiederherstellungschirurgie Universitätsklinikum Goethe-Universität Frankfurt, Frankfurt, Germany; <sup>25</sup>Department of Clinical Medicine, University of Bergen, Bergen, Norway; <sup>26</sup>Department of Gastrointestinal Surgery, Stavanger University Hospital, Stavanger, Norway; <sup>27</sup>Acute Care Surgery, The Queen's Medical Center, Honolulu, HI, USA; <sup>28</sup>General and Trauma Surgery Department, London Health Sciences Centre, Victoria Hospital, London, ON, Canada; <sup>29</sup>Département d'Anesthésie-Réanimation, CHU Bichat Claude-Bernard-HUPNVS, Assistance Publique-Hôpitaux de Paris, University Denis Diderot, Paris, France; <sup>30</sup>ICU Department, Sant'Orsola-Malpighi University Hospital, Bologna, Italy; <sup>31</sup>ICU Department, Papa Giovanni XXIII Hospital, Bergamo, Italy; <sup>32</sup>Surgery Department, University of Maryland School of Medicine, Baltimore, MD, USA; <sup>33</sup>Emergency and Trauma Surgery Department, Niguarda Hospital, Milano, Italy; <sup>34</sup>General Surgery Department, Assuta Medical Centers, Tel Aviv, Israel; <sup>35</sup>General Surgery, "General Calixto García", Habana Medicine University, Havana, Cuba; <sup>36</sup>General Surgery, Medical Faculty "General Calixto García", Habana Medicine University, Havana, Cuba; <sup>37</sup>Division of Trauma, Department of Surgery, Far-Eastern Memorial Hospital, New Taipei City, Taiwan, Republic of China; <sup>38</sup>Clin. Univ. de Chirurgie Digestive et de l'Urgence, CHUGA-CHU Grenoble Alpes UGA-Université Grenoble Alpes, Grenoble, France; <sup>39</sup>General and Emergency Surgery Department, Empoli Hospital, Empoli, Italy; <sup>40</sup>Department of Cardiothoracic and Vascular Surgery, Örebro University Hospital and Örebro University, Örebro, Sweden; <sup>41</sup>General Surgery, Perpignan Hospital, Perpignan, France; <sup>42</sup>Pediatric Trauma Service, Massachusetts General Hospital, Boston, MA, USA; <sup>43</sup>General and Emergency Surgery, Sergei Kirov Military Academy, Saint Petersburg, Russia; <sup>44</sup>Unit of Digestive Surgery, HPB Surgery and Liver Transplant, Henri Mondor Hospital, Créteil, France; <sup>45</sup>Department of Primary Care and Emergency Medicine, Kyoto University Graduate School of Medicine, Kyoto, Japan; <sup>46</sup>Department of Traumatology, John Hunter Hospital and University of Newcastle, Newcastle, NSW, Australia; <sup>47</sup>General Surgery Department, Westchester Medical Center, Westchester, NY, USA; <sup>48</sup>Department of Surgery, University of KwaZulu-Natal, Durban, South Africa; <sup>49</sup>Department of General Surgery, Royal Perth Hospital, The University of Western Australia & The University of Newcastle, Perth, Australia; <sup>50</sup>Trauma Unit, Helsinki University Hospital, Helsinki, Finland; <sup>51</sup>Division of Trauma and Critical Care, LAC+USC Medical Center, University of Southern California, California, Los Angeles, USA; <sup>52</sup>General and Thoracic Surgery, Giessen Hospital, Giessen, Germany; <sup>53</sup>Acute Care Surgery and Traumatology, Taipei Medical University Hospital, Taipei City, Taiwan, Republic of China; <sup>54</sup>Trauma and Acute Care Surgery, Fundacion Valle del Lili, Cali, Colombia; <sup>55</sup>Trauma and Acute Care Service, St Michael's Hospital, Toronto, ON, Canada; <sup>56</sup>Hospital Universitário Terezinha de Jesus, Faculdade de Ciências Médicas e da Saúde de Juiz de Fora (SUPREMA), Juiz de Fora, Brazil; <sup>57</sup>Trauma, Acute Care Surgery, Medical College of Wisconsin/Froedtert Trauma Center, Milwaukee, WI, USA; <sup>58</sup>Department of Surgery, Sheri-Kashmir Institute of Medical Sciences, Srinagar, India; <sup>59</sup>Department of Surgery and Obs/Gyn, Faculty of Health Sciences, University of Buea, Buea, Cameroon; <sup>60</sup>Milpark Hospital Academic Trauma Center, University of the Witwatersrand, Johannesburg, South Africa; <sup>61</sup>Acute Care Surgery, Department of Surgery, University of Michigan Health System, Ann Arbor, MI, USA; <sup>62</sup>Emergency and Trauma Surgery, Parma Maggiore Hospital, Parma, Italy

## რეზიუმე

დაზიანების კონტროლმა შეიძლება გამოიწვიოს პოსტოპერაციული ინტრა-აბდომინალური ჰიპერტენზია ან აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომი. ამ პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს მანკიერი, თვით-შემანარჩუნებელი ციკლი, რასაც მივყავართ მძიმე ფიზიოლოგიურ დარღვევებამდე და მულტიორგანულ უკმარისობამდე, მანამ არ მოხდება მუცლის ღრუს (ქირურგიული ან სხვა სახის) დეკომპრესია. გარდა ამისა, ზოგიერთ კლინიკურ სიტუაციაში, მუცლის ღრუ ვერ დაიხურება შემდეგი მიზეზების გამო: ვისცერალური შეშუპება, ინფექციის გამომწვევი წყაროების კონტროლირების შეუძლებლობა, ან განმეორებითი კვლევის აუცილებლობა (როგორც "დაგეგმილი განმეორებითი" ლაპაროტომია - planned "second-look" laparotomy) ან ადრე დაწყებული დაზიანებების კონტროლის-პროცედურების დასრულება ან მუცლის კედლის მთლიანობის დაზიანების შემთხვევაში. ღია მუცელი, ტრავმულ და არა-ტრავმულ პაციენტებში შემოთავაზებულია როგორც

ეფექტური გზა, პაციენტებში დარღვეული ფიზიოლოგიისა და მძიმე დაზიანებების თავიდან აცილების ან განკურნებისთვის, ან კრიტიკული დაავადების მქონე პაციენტებში, როდესაც არ არსებობს რაიმე სხვა მიზანშეწონილი ვარიანტი. თუმცა მისი გამოყენება საკამათო საკითხად რჩება, რადგან იგი მოიხმარს რესურსებს და წარმოადგენს არა-ანატომიურ მდგომარეობას მძიმე, მწვავე ეფექტების პოტენციალით. აქედან გამომდინარე (ღია მუცლის), მისი გამოყენება უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მიზანმიმართულად იმ პაციენტებში რომლებიც ყველაზე მეტ სარგებელს ნახავენ მისგან. მუცლის ფასცია-ფასციასთან დახურვა უნდა მოხდეს, როგორც კი პაციენტი შეეძლებს ფიზიოლოგიურად მასთან შეუებას. უნდა გატარდეს ყოველგვარი უსაფრთხოების ზომები გართულებების შემცირების მიზნით.

## ძირითადი სიტყვები

ღია მუცელი, ლაპაროტომია, არა-ტრავმული, ტრავმა, პერიტონიტი, პანკრეატიტი, სისხლდარღვევანი გადაუდებელი მდგომარეობები,

ინტრა-აბდომინალური ინფექცია, ფისტულა, კვების აღდგენა, განმეორებითი კვლევა, განმეორებითი ჩარევა, დახურვა, ბიოლოგიური, სინთეტიკური, ბადე, ტექნიკა, ვადები, გაიდლაინები.

## საფუძველი

მძიმე დაზიანებების ან ფიზიოლოგიური დარღვევების მქონე პაციენტების დაზიანების კონტროლის მართვა (DCM- damage control management) მოიცავს დაზიანების კონტროლის რეანიმაციას (DCR - damage control resuscitation) და დაზიანების კონტროლის ოპერაციას (DCS - damage control surgery). ფიზიოლოგიური დარღვევების მქონე პაციენტებში DCM-(damage control management) -ის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ინტრა-აბდომინალური ჰიპერტენზია (IAH - intra-abdominal hypertension) ან აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომი (ACS - abdominal compartment syndrome), რამაც შეიძლება დაამძიმოს ფიზიოლოგიური დარღვევები ან მულტიორგანული უკმარისობა (MOF - multiorgan failure) მანკიერ წრეში, მანამ სანამ არ მოხდება მუცლის ღრუს დეკომპრესია (ქირურგიული ან სხვა სახის). [1, 2]. გარდა ამისა, სხვა კლინიკურ სიტუაციებში, მუცლის ღრუ ვერ დაიხურება შემდეგი მიზეზების გამო: ვისცერალური შეშუპება, ინფექციის გამომწვევი წყაროების კონტროლირების შეუძლებლობა, ან ხელახლა გამოკვლევის აუცილებლობა ( „დაგეგმილი განმეორებითი“ ლაპაროტომიით planned re-look laparotomy“) ან DCS - damage control surgery პროცედურების დასრულება ან მუცლის კედლის დარღვევის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ღია მუცელი (OA- open abdomen), ეფექტურია ფიზიოლოგიური დარღვევების პროფილაქტიკის ან მკურნალობისთვის მძიმე დაზიანებების ან კრიტიკული დაავადების მქონე პაციენტებში, ეს უნდა იქნას ადიარებული, როგორც არა-ანატომიური მდგომარეობა, რომელიც პოტენციურად იწვევს მძიმე გვერდით მოვლენებს, და ზრდის რესურსების მოხმარებას [3].

„გადაუდებელი ქირურგიის მსოფლიო საზოგადოებამ (WSES - World Society for Emergency Surgery) მიიღო IAH, ACS ( abdominal compartment syndrome)- ის და მასთან დაკავშირებული მდგომარეობების განსაზღვრებები, რომლებიც გამოქვეყნდა „აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის მსოფლიოს საზოგადოების“ (WSACS - World Society Abdominal Compartment Syndrome) მიერ 2013 წელს. [2-4] (ნახ. 1).

ღია მუცლის მართვა მოიცავს მუცლის სწორი, წყვილი კუნთის აბდომინალური ფასციის კიდეების მიზნობრივად დატოვებას მიუანლოვებლად (ლაპაროსტომია), ოპერაციის შემოკლებას, IAH/ACS პროფილაქტიკას და მუცლის ფასციების დაუზიანებლად ხელახალი გამოკვლევის გაადვილებას [3]. მუცლის ღრუს დროებითი დახურვა (TAC- temporary abdominal closure) ნიშნავს იმ მეთოდს, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დავიცვათ მუცლის ღრუს ვისცერული ფასცია, მაშინ როცა ფასცია რჩება გახსნილი [2, 5]. OA (open abdomen)-ი ს მართვისას პაციენტები იმყოფებიან რისკის ქვეშ, რომ

განუვითარდეთ ენტერო-ატმოსფერული ფისტულა (EAF entero-atmospheric fistula) და “გაყინული მუცელი - frozen abdomen,” ინტრააბდომინალური აბსცესები და ფასციის საბოლოო დახურვის დაბალი მაჩვენებლები[6, 7]. რისკის და სარგებლის თანაფარდობა უნდა იყოს გათვალისწინებული OA- ს გამოყენებისას და არ უნდა იქნეს თვითნებურად შესრულებული. საჭიროა გართულებების შემამსუბუქებელი ზომების მიღება. OA-ს მქონე ყველა პაციენტში სრული ძალისხმევა უნდა გამოვიყენოთ, რათა მივალწიოთ ფასციის პირველად დახურვას, (მაგალითად, მუცლის კედლის ფასცია-ფასციასთან დახურვა ჰოსპიტალიზაციის პერიოდის ფარგლებში), როგორც კი პაციენტს შეეძლება ფსიქოლოგიურად მასთან შეგუებას. [3].

## ამ გაიდლაინის მიზანი და გამოყენება

გაიდლაინები დამყარებულია მტკიცებულებებზე, რეკომენდაციების ხარისხებით, რომლებიც ეფუძნება მტკიცებულებებს. ეს გაიდლაინები წარმოადგენენ ღია მუცლის ოპტიმალური მართვის მეთოდებს ტრავმულ და არა-ტრავმულ პაციენტებში. ისინი არ წარმოადგენენ პრაქტიკის სტანდარტს. ისინი ითვალისწინებენ მკურნალობის გეგმებს, რომელიც ეფუძნება საუკეთესო არსებულ მტკიცებულებებს და ექსპერტთა კონსენსუსს. თუმცა, ისინი არ გამორიცხავენ სხვა მიდგომებსაც სტანდარტულ პრაქტიკაში. მაგალითად, ისინი არ უნდა იქნას გამოყენებული მოცემული სამედიცინო მართვის მოცემული მეთოდის ძალდატანებით გამოყენებისათვის, რადგანაც ისინი უნდა საბოლოოდ განისაზღვროს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების პირობების გათვალისწინებით (პერსონალის დონეები, გამოცდილება, აღჭურვილობა და ა.შ.) და პაციენტის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მონაწილე პრაქტიკოსებს და არა მასში ჩართულ არაკომპეტენტ პრაქტიკოსებს, და არა კონსენსუსის ჯგუფს.

## მეთოდები

კომპიუტერიზებული ძიება შესრულდა MEDLINE- ში, EMBASE-სა და Scopus-ში, საინფორმაციო მეცნიერის/ბიბლიოთეკარის მიერ 1980 წლის იანვრიდან 2017 წლის აგვისტომდე დროის დიაპაზონში. ტერმინები: ღია მუცელი,

IAH ხარისხი	IAP (mmHg)
I ხარისხი	12-15
II ხარისხი	16-20
III ხარისხი	21-25
IV ხარისხი	25>
ACS	> 20 with new organ dysfunction/failure

**ნახ. 1. WSACS (World Society Abdominal Compartment Syndrome) Grade of intra-abdominal hypertension (IAH). (IAP, intra abdominal pressure; ACS, abdominal compartment syndrome).**

ლაპაროსტომია, დაზიანებები, ტრავმა, პერიტონიტი, პანკრეატიტი, ვასკულარული, იშემია, რეანიმაცია, მოზრდილი, მართვა, ინფექცია, ინტენსიური თერაპიის განყოფილება, ანასტომოზი, ვაზოპრესორები და შემდგომი დაკვირვება სხვადასხვა კომბინაციებში "Boolean" ოპერატორებით "AND" და "OR" იქნა გამოყენებული. არ ყოფილა დაწესებული რაიმე საძიებო შეზღუდვები. თარიღები შეირჩა კლინიკური კვლევების ყოვლისმომცველი გამოქვეყნებული რეზიუმეების, კონსენსუსის კონფერენციების, შედარებითი კვლევების, კონგრესების, გაიდლაინების. სამთავრობო პუბლიკაციების, მულტიცენტრული კვლევების, სისტემატური მიმოხილვების, მეტა-ანალიზების, ფართო შემთხვევათა სერიის, ორიგინალური სტატიებისა და რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების მოძიების შესაძლებლობით. შემთხვევათა ანგარიშები და მცირე შემთხვევები გამოირიცხა. ჩვენ ასევე გავანალიზეთ შესაბამისი ნარმატიული მიმოხილვის სტატიების საცნობარო სიები, რომლებიც გამოვლინდა ძიების პროცესში ნებისმიერი შესაძლო გამოტოვებული კვლევების იდენტიფიცირების მიზნით.

თითოეულ სტატიაში ჩვენ თანმიმდევრულად გამოვიყენეთ მტკიცებულების დონე (LE- level of evidence), (GRADE Grading of Recommendations, Assessment, Development, and Evaluation „ხარისხის რეკომენდაციების“ გამოყენებით, შეფასების, შემუშავებისა და შეფასების (ხარისხი) სისტემის გამოყენებით (ცხრილი 1). სრული „ხარისხის“ პროცესი არ იყო გამოყენებული, რადგანაც ეს სისტემა რთულია გამოსაყენებლად, როდესაც არსებული მტკიცებულებები მწირია. OA-ს მართვის სფეროს ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც კოორდაციას უწევდა ცენტრალური კოორდინატორი, შემდგომ იყვნენ მოწვეული, რათა გაეშუქებინათ მათი მტკიცებულებებზე დაფუძნებული მოსაზრებები OA-სთან დაკავშირებულ გარკვეულ ძირითად კლინიკურ საკითხებზე. დელოფის პროცესის მეშვეობით კლინიკური საკითხები იქნა განხილული რაუნდებად.

ცენტრალურმა კოორდინატორმა შეკრიბა თითოეული რაუნდისგან მიღებული სხვადასხვა პასუხი. თითოეული ვერსია შემდგომში გადაიხედა და გაუმჯობესდა მრავალგზის შეფასებით. საბოლოო ვერსია, რომელზეც შეთანხმება მიღწეული იქნა, მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოში შეტანილი კომენტარების და რეკომენდაციების სახით. განცხადებები შეჯამდა ცხრილში 2.

### ჩვენებები

#### ტრავმული პაციენტები

პერსისტული ჰიპოტენზია, აციდოზი ( $pH < 7.2$ ), ჰიპოთერმია (ტემპერატურა  $< 34^{\circ}C$ ) და კოაგულოპათია არიან შემოკლებული ლაპარატომიის -*abbreviated laparotomy* და ღია მუცლის ღრუს ძლიერი ჩვენებანი (პრედიქტორები) ტრავმულ პაციენტებში (ხარისხი 2A)

აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის რისკ ფაქტორები, როგორცაა: დაზიანების

კონტროლის ოპერაცია -*damage control surgery*, დაზიანებები რომლებიც მოითხოვს შეფუთვას (packing) და დაგეგმილ განმეორებით ოპერაციას, უკიდურესი ვისცერული ან რეტროპერიტონიუმის შემუშავება, სიმსუქნე, მუცლის ღრუს დახურვის მცდელობისას შარდის ბუშტის მომატებული წნევა, მუცლის ღრუს კედლის ქსოვილის ნაკლებობა და აგრესიული მცდელობები მის დასახურად წარმოადგენენ ღია მუცლის აუცილებლობის ჩვენებას ტრავმულ პაციენტებში (ხარისხი 2B)

დეკომპრესიული ლაპაროსტომია ნაჩვენებია აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის დროს, თუ განმეორებითი და სანდო IAP- ის გაზომვების შემდეგ მკურნალობა უშედეგოა (ხარისხი 2B)

დაბინძურების წყაროს სრული კონტროლის ან ნაწლავის პერფუზიის შეფასების აუცილებლობის შეუძლებლობა პოსტ-ტრავმული ნაწლავის დაზიანებისას, შეიძლება იყოს მუცლის ღრუს ღია დატოვების ინდიკატორი (ხარისხი 2B)

ჰემოდინამიკურად არასტაბილური, მძიმედ დაზიანებული პაციენტები, არიან ACS-ის უფრო მაღალი რისკის ქვეშ რამდენიმე მიზეზის გამო (მაგალითად, აგრესიული რეანიმაცია, იშემია-რეპერფუზიული დაზიანება, ვისცერული ან რეტროპერიტონიალური შემუშავება, მორეციდივე სისხლდენა და ინტრა-პერიტონეალური შეფუთვა - *intraperitoneal packing*.)

ფაქტიურად, პოსტ-ტრავმული ფიზიოლოგიური დარღვევები და შემდგომი DCM- *Damage control management* აყენებს პაციენტებს ინტრა-აბდომინალური წნევის მომატების რისკის ქვეშ. ACS-თან ასოცირებული რისკ-ფაქტორები, სადაც საჭირო ხდება ღია მუცელი ტრავმის შემდეგ, და მიგვითითებს OA-ს უფრო მაღალ საჭიროებაზე. არის: აციდოზი  $pH < 7.2$ , ლაქტატის დონე  $> 5$  მმოლ/ლ, ტუტოვანი დეფიციტი (BD - *base deficit*)  $> 6$  55 წელზე უფროს პაციენტებში ან  $> 15$  55 წელზე ნაკლები ასაკის პაციენტებში, სხეულის ტემპერატურა  $< 34^{\circ}C$ , სისტოლური წნევა  $< 70$  მმ.ვწყ., გამოთვლილი სისხლის დანაკარგი  $> 4$  ლ ოპერაციის მიმდინარეობის დროს და/ან სისხლის გადასხმის საჭიროება  $> 10$  ერთეული პაკეტირებული ერთროციტები პრე-, პოსტ- და ინტრა- ოპერაციულ სიტუაციებში და მძიმე კოაგულაციური დარღვევები (INR/PT  $> 1.5$ -ჯერ ნორმაზე, თანხლები PTT  $> 1.5$ -ჯერ ნორმაზე, ან ამის გარეშე).

IAH - (*intra-abdominal hypertension*)-ს სხვა ცნობილი რისკ-ფაქტორები უნდა იყოს გათვალისწინებული: სიმსუქნე, პანკრეატიტი, ღვიძლის უკმარისობა /ციროზი, დადებითი და ამოსუნთქვის ბოლოს წნევა  $> 10$  სმ H<sub>2</sub>O, სუნთქვის უკმარისობა, მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომი.

ყოველგვარი არა-ქირურგიული მკურნალობა უნდა ჩატარდეს რათა თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ IAH, სანამ გადავიდოდეთ ქირურგიულ დეკომპრესიაზე (მაგ. ნაზოგასტრალური და მსხვილი ნაწლავის დეკომპრესაცია, პროკინეტიკური აგენტები, პაციენტის ადექვატური პოზიციონირება და მომჭერი(კონსტრიქციული) ნახვევების თავიდან

აცილება, შესაძლო ევენტრაცია და პერკუტანური დეკომპრესია, ადეკვატური მექანიკური ვენტილაცია, ანალგეზია, სედაცია და ნეირომუსკულარული ბლოკადა, დაბალანსებული სითხით რეანიმაცია, საბოლოო შარდმდენი თერაპია და უწყვეტი ვენა-ვენური ჰემოფილტრაცია / ულტრაფილტრაცია და ვაზოაქტიური მედიკამენტები).

გარდა ამისა, პაციენტის ინფექციის წყაროს საბოლოო კონტროლის შეუძლებლობა განმეორებითი ოპერაციის დროს ან ნაწლავის

პერფუზიის-სიცოცხლისუნარიანობის შემოწმების შეუძლებლობა DCM- ის დროს ან მუცლის კედლის ქსოვილის ნაკლებობა წარმოადგენს ღია მუცლის ჩვენებებს მუცლის ტრავმული დაზიანებისას [3, 11].

**არა-ტრავმული პაციენტები**

დეკომპრესიული ლაპაროტომია ნაჩვენებია აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის დროს, თუ მკურნალობა განმეორებითი და სანდო IAP- ის გაზომვების შემდეგ უშედეგოა (ხარისხი 2B)

**ცხრილი 1. ხარისხის სისტემა მტკიცებულების და რეკომენდაციის დონის შესაფასებლად.**

რეკომენდაციის ხარისხი	რისკი/სარგებლობის სიცხადე	მხარდამჭერი მტკიცებულების ხარისხი	დასკვნები
1A ძლიერი რეკომენდაცია, მაღალი ხარისხის რეკომენდაცია	სარგებელი აშკარად აღემატება რისკს და ტვირთს, ან პირიქით	RCT-ები მნიშვნელოვანი შეზღუდვების გარეშე ანდა დამაჯერებელი მტკიცებულებები დაკვირვებითი კვლევებიდან	ძლიერი რეკომენდაცია, ვრცელდება უმეტესობა პაციენტებზე უმეტესობა გარემოებებში პირობის გარეშე
1B ძლიერი რეკომენდაცია, ზომიერი ხარისხის მტკიცებულება	სარგებელი აშკარად აღემატება რისკს და ტვირთს, ან პირიქით	RCT-ები მნიშვნელოვანი შეზღუდვებით (არათანმიმდევრული შედეგები, მეთოდოლოგიური ხარვეზები, არაპირდაპირი ანალიზები, ან არაზუსტი დასკვნები) ან განსაკუთრებულად ძლიერი მტკიცებულებები დაკვირვებითი კვლევებიდან	ძლიერი რეკომენდაცია, ვრცელდება უმეტესობა გარემოებებში პირობის გარეშე
1C ძლიერი რეკომენდაცია, დაბალი ხარისხის ან ძალიან დაბალი ხარისხის მტკიცებულებები	სარგებელი აშკარად აღემატება რისკს და ტვირთს, ან პირიქით	დაკვირვებითი კვლევები ან შემთხვევების სერია	ძლიერი რეკომენდაცია, მაგრამ ექვემდებარება შეცვლას, როდესაც ხელმისაწვდომი გახდება უფრო მაღალი ხარისხის მტკიცებულებები
2A სუსტი რეკომენდაცია, მაღალი ხარისხის მტკიცებულებები	სარგებელი დაახლოებით დაბალანსებულია რისკებთან და ტვირთთან	RCT-ები მნიშვნელოვანი შეზღუდვების გარეშე ანდა დამაჯერებელი მტკიცებულებები დაკვირვებითი კვლევებიდან	სუსტი რეკომენდაცია, საუკეთესო მოქმედება შეიძლება განსხვავდებოდეს შეიძლება განსხვავდებოდეს პაციენტის, მკურნალობის გარემოებების, ან სოციალური ღირებულებების მიხედვით
2B სუსტი რეკომენდაცია, ზომიერი ხარისხის მტკიცებულება	სარგებელი დაახლოებით დაბალანსებულია რისკებთან და ტვირთთან	RCT-ები მნიშვნელოვანი შეზღუდვებით (არათანმიმდევრული შედეგები, მეთოდოლოგიური ხარვეზები, არაპირდაპირი ანალიზები, ან არაზუსტი დასკვნები) ან განსაკუთრებულად ძლიერი მტკიცებულებები დაკვირვებითი კვლევებიდან	სუსტი რეკომენდაცია, საუკეთესო მოქმედება შეიძლება განსხვავდებოდეს პაციენტის, მკურნალობის გარემოებების, ან სოციალური ღირებულებების მიხედვით
2C სუსტი რეკომენდაცია, დაბალი ხარისხის ან ძალიან დაბალი ხარისხის მტკიცებულებები	გაურკვეველია სარგებლის, რისკების და ტვირთის შეფასებები; სარგებელი, რისკი და ტვირთი შეიძლება იყოს	დაახლოებით დაბალანსებული დაკვირვებითი კვლევები ან შემთხვევების სერია იყოს	ძალიან სუსტი რეკომენდაცია; ლტერნატიული მკურნალობა შეიძლება იყოს თანაბრად გონივრული და იმსახურებს განხილვას

**ცხრილი 2. დადგენილებების შეჯამება.**

დადგენილებები	
ჩვენებები ტრავმული პაციენტები	<p>პერისისტიული ჰიპოტენზია, აციდოზი (pH &lt;7.2), ჰიპოთერმია (ტემპერატურა &lt;34 ° C) და კოაგულოპათია არიან შემოკლებული ლაპაროტომიის და ღია მუცლის ღრუს ძლიერი ჩვენებანი ტრავმულ პაციენტებში (ხარისხი 2A).</p> <p>აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის რისკ ფაქტორები, როგორცაა: დაზიანების კონტროლის ოპერაცია, დაზიანებები, რომლებიც მოითხოვს შეფუთვას და დაგეგმილ განმეორებით ოპერაციას, უკიდურესი ვისცერული ან რეტროპერიტონიალური შეშუპება, სიმსუქნე, მუცლის ღრუს დახურვის მცდელობისას შარდის ბუმბუსის მომატებული წნევა, მუცლის ღრუს კედლის ქსოვილის კარგვა და აგრესიული რეანიმაცია წარმოადგენენ ღია მუცლის აუცილებლობის ჩვენებას ტრავმულ პაციენტებში (ხარისხი 2B).</p> <p>აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის დროს დეკომპრესიული ლაპაროტომია ნაჩვენებია, თუ მკურნალობა განმეორებითი და სანდო IAP- ის გაზომვების შემდეგ უშედეგოა (ხარისხი 2B).</p> <p>პოსტ-ტრავმული ნაწლავის დაზიანებისას დაბინძურების წყაროს სრული კონტროლის შეუძლებლობა ან ნაწლავის პერფუზიის შეფასების აუცილებლობა შეიძლება იყოს მუცლის ღრუს ღიად დატოვების ინდიკატორი (ხარისხი 2B)</p>
არა-ტრავმული პაციენტები	<p>აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის დროს, დეკომპრესიული ლაპაროტომია ნაჩვენებია თუ მკურნალობა და განმეორებითი, სანდო IAP- ის გაზომვების შემდეგ უშედეგოა (ხარისხი 2B).</p>
• პერიტონიტი	<p>ღია მუცელი წარმოადგენს გადაუდებელი ოპერაციის ვარიანტს პაციენტებში მძიმე პერიტონიტით და მძიმე სეფსისით / სეპტიური შოკით შემდეგ გარემოებებში: შემოკლებული ლაპაროტომია მძიმე ფიზიოლოგიური დარღვევის გამო, გადავადებული ნაწლავური ანასტომოზის საჭიროება, ნაწლავის იშემიის გამო დაგეგმილი განმეორებითი გამოკვლევა, პერიტონიტის მუდმივი წყარო (წყაროს კონტროლის უშედეგობა) ან ფართო ვისცერალური შეშუპება აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის განვითარების საშიშროებით (ხარისხი 2C).</p>
• ვასკულარული გადაუდებელი მდგომარეობები	<p>ღია მუცელი მიზანშეწონილია ჰემორაგიული ვასკულარული კატასტროფების შემდგომ სამართავად, როგორცაა მაგ. მუცლის აორტის ანევრიზმის რუპტურა (ხარისხი 1C).</p>
• პანკრეატიტი	<p>ღია მუცელი მიზანშეწონილია ჯორჯლის მწვავე იშემიური ინსულტის ქირურგიული მკურნალობის შემდეგ (ხარისხი 2C).</p> <p>პაციენტებში მძიმე მწვავე პანკრეატიტით, რომელიც არ რეაგირებს საფეხურობრივ კონსერვატიულ მართვას, ქირურგიული დეკომპრესია და ღია მუცელი ეფექტურია აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის სამკურნალოდ (ხარისხი 2C)</p> <p>მუცლის ღიად დატოვება ინფიცირებული პანკრეასის ნეკროზის გამო ჩატარებული ქირურგიული ნეკროსექტომიის შემდეგ არ არის რეკომენდირებული, იმ სიტუაციების გარდა, როდესაც არსებობს აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის განვითარების რისკ-ფაქტორები (ხარისხი 1C)</p>
მართვა	
ტრავმული და არა-ტრავმული პაციენტები	<p>ღია მუცლის(OA)-ის მართვაში დაზიანების კონტროლის რეანიმაციის (DCR - damage control resuscitation )როლი ფუნდამენტურია და შეიძლება გავლენა მოახდინოს გამოსავალზე (ხარისხი 2A)</p>
ინტენსიური მოვლის განყოფილებაში მართვა	<p>მულტიდისციპლინარული მიდგომა სასურველია, განსაკუთრებით პაციენტის ინტენსიური მოვლის განყოფილებაში მიღებისას (ხარისხი 2A).</p> <p>ინტრა-აბდომინალური წნევის გაზომვა აუცილებელია IAH/ ACS რისკის ქვეშ მყოფ კრიტიკულად დაავადებულ პაციენტებში. (ხარისხი 1B).</p> <p>ფიზიოლოგიური ოპტიმიზაცია მუცლის ადრეული დახურვის ერთ-ერთი განმსაზღვრელია (დეტერმინანტია) (ხარისხი 2A).</p> <p>ინოტროპული და ვაზოპრესორული საშუალებების გამოყენება უნდა იყოს მორგებული პაციენტის მდგომარეობისა და შესრულებული ქირურგიული ჩარევების შესაბამისად (ხარისხი 1A).</p> <p>სითხეოვანი ბალანსი უნდა იყოს ყურადღებით დაკვირვების ქვეშ (ხარისხი 2A).</p> <p>დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სხეულის ტემპერატურას, თავიდან უნდა იქნას აცილებული ჰიპოთერმია (ხარისხი 2A).</p> <p>კოაგულოპათიის ან სისხლდენის მაღალი რისკის არსებობისას უარყოფითი წნევა უნდა შემცირდეს და დარეგულირდეს, და დაბალანსდეს უარყოფითი წნევისა და ჰემორაგიული რისკის მკურნალობის აუცილებლობა (ხარისხი 2B).</p>
მუცლის ღრობითი დახურვის ტექნიკა	<p>ჭრილობის უარყოფითი წნევით მკურნალობა (Negative pressure wound therapy-NPWT) ფასციის უწყვეტი ტრაქციით უნდა იქნას შემოთავაზებული, როგორც მუცლის ღრობითი დახურვის უპირატესი ტექნიკა (ხარისხი 2B).</p>

გარტყილება შემდეგი გვერდი

ცხრილი 2. გაგრძელდა წინა გვერდიდან.

დადგენილებები	
განმეორებითი გამოკვლევა საბოლოო დახურვამდე	<p>მუცლის დროებითი დახურვა უარყოფითი წნევის გარეშე (მაგ. ბოგოტას ჩანთა) შეიძლება გამოყენებულ იქნას დაბალი რესურსების სიტუაციებში, სადაც მიღებულია უფრო დაბალი ფასციის დაყოვნებული დახურვის სინშირის მაჩვენებელი და უფრო მაღალი ნაწლავის ფისტულის სინშირის მაჩვენებელი (ხარისხი 2A).</p> <p>არ შეიძლება საბოლოო რეკომენდაციის მიცემა მუცლის დროებით დახურვაზე NPWT- ით სითხის ინსტილაციასთან კომბინაციაში, მაშინაც კი, როცა ის თითქოს აუმჯობესებს შედეგებს ტრავმულ პაციენტებში (ხარისხი არ არის).</p> <p>ღია მუცლის განმეორებითი გამოკვლევა უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს 24-48 საათისა და ნებისმიერი მომდევნო ოპერაციის შემდეგ, როცა წინა ოპერაციიდან პაციენტის მდგომარეობა არ უმჯობესდება და ჰემოდინამიკური არასტაბილურობის ხარისხი იზრდება (ხარისხი 1C).</p> <p>მუცელი უნდა შენარჩუნდეს ღიად, თუ მიმდინარე რეანიმაციის საჭიროება და/ან დაბინძურების წყაროს არსებობა</p> <p>გრძელდება, თუ საჭიროა გადავადებული ნაწლავის ანასტომოზი, თუ არსებობს იშემიური ნაწლავის დაგეგმილი განმეორებითი გამოკვლევის საჭიროება და ბოლოს, თუ არსებობს აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის განვითარების საშიშროება (ხარისხი 2B).</p>
კვებითი მხარდაჭერა	<p>ღია მუცლის მქონე პაციენტები ჰიპერ-მეტაბოლურ მდგომარეობაში არიან; დაუყოვნებელი და ადეკვატური კვებითი მხარდაჭერა სავალდებულოა (ხარისხი 1C).</p> <p>ღია მუცლის ტექნიკა იწვევს მნიშვნელოვან აზოტის დანაკარგს, რომელიც უნდა ჩანაცვლდეს დაბალანსებული კვებითი რეჟიმით (ხარისხი 1C).</p> <p>ადრეული ენტერალური კვება უნდა დაიწყოს რაც შეიძლება მალე სიცოცხლისუნარიანი და მოფუნქციონირე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დროს (ხარისხი 1C).</p> <p>ენტერალური კვება უნდა გადავადდეს პაციენტებში ნაწლავის ტრაქტის წყვეტით (დროებით სტეპლურით დამაგრებული ტაკვები), ან მაღალი გამოშავალი ფისტულის სიტუაციებში, როდესაც ფისტულის დისტალურად საკვების მიღების წვდომის შესაძლებლობა არ არსებობს, ან ნაწლავის ობსტრუქციის ნიშნების არსებობისას (ხარისხი 2C)</p> <p>პერორალური კვება არ არის უკუნაჩვენები და უნდა იქნას გამოყენებული როცა შესაძლებელია (ხარისხი 2C).</p>
პაციენტის მობილიზაცია	<p>იდეალურად არ გაიცემა რეკომენდაციები ღია მუცლის მქონე პაციენტების ადრეული მობილიზაციის შესახებ (ხარისხი არ არის).</p>
საბოლოო დახურვა	
ტრავმული და არა-ტრავმული პაციენტები	<p>ფასცია და / ან მუცელი უნდა საბოლოოდ დაიხუროს რაც შეიძლება მალე (ხარისხი 1C)</p>
ღია მუცლის საბოლოო დახურვა	<p>ფასციის ადრეული ან / და მუცლის საბოლოო დახურვა უნდა იყოს ღია მუცლის მართვის სტრატეგია მას შემდეგ, რაც შეწყდება რეანიმაციის გაგრძელების ნებისმიერი საჭიროება, წყაროს კონტროლი საბოლოოდ იქნება მიღწეული, ნაწლავის სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებული საშიშროება აღარ იარსებებს, საჭირო აღარ იქნება შემდგომი ქირურგიული განმეორებითი გამოკვლევა და აღარ იარსებებს აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის საშიშროება (ხარისხი 1B).</p>
• ექნიკები ბადის გამოყენებლად	<p>ფასციის პირველადი დახურვა არის იდეალური გადაწყვეტა მუცლის დახურვის აღსადგენად (2A).</p> <p>კომპონენტის სეპარაცია არის ეფექტური ტექნიკა; თუმცა ის არ უნდა იყოს გამოყენებული ფასციის დროებითი დახურვისთვის. ის მიზანშეწონილია მხოლოდ საბოლოო დახურვისთვის (ხარისხი 2C).</p> <p>დაგეგმილი ვენტრალური თიაქარი (კანის ტრანსპლანტატი ან მხოლოდ კანის დახურვა) რჩება ოპციად მხოლოდ გართულებული ღია მუცლისთვის (მაგ. ენტერო-ატმოსფერული ფისტულის ან გამომწვევი დაავადების გამო განაგრძლივებული ღია მუცლის შემთხვევაში) ან სიტუაციებში, სადაც სხვა ეფექტური ალტერნატივები არ არსებობს (ხარისხი 2C)</p>
• ტექნიკები ბადის გამოყენებით	<p>სინთეტიკური ბადის (პოლიპროპილენის, პოლიტეტრაფტორუოეთილენის (PTFE) და პოლიესტერული პროლექტების) ფასციის ნიდად გამოყენება არ უნდა იყოს რეკომენდებული საბოლოო დახურვის ჩარევებისათვის ღია მუცლის შემდეგ, და უნდა მოთავსდეს მხოლოდ პაციენტებში სხვა ალტერნატივების გარეშე (ხარისხი 1B).</p> <p>ბიოლოგიური ბადეები საიმედოა მუცლის კედლის რეკონსტრუქციისათვის კედლის დიდი დეფექტით, ბაქტერიული დაბინძურებით, თანმხლები დაავადებებისა და ჭრილობის რთული შეხორცებისას (ხარისხი 2B).</p>

გაგრძელდება შემდეგი გვერდი

**ცხრილი 2. გაგრძელდა წინა გვერდიდან.**

**დადგენილებები**

არა-ჯვარედინ-კავშირებიანი ბიოლოგიურ ბადეებს, როგორც ჩანს, ენიჭება უპირატესობა ქვეშეობრივ პოზიციაში, როდესაც შესაძლებელია თეთრი ხაზის რეკონსტრუქცია. (ხარისხი 2B).

ჯვარედინ-კავშირებიანი ბიოლოგიური ბადეები ფასცია- ნიდის პოზიციაში (თეთრი ხაზი არ იხურება) შესაძლოა ასოცირებული იყოს ვენტრალური თიაქრის ნაკლებ რეციდივთან (ხარისხი 2B).

NPWT შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიოლოგიურ ბადესთან კომბინაციაში, რათა ხელი შეუწყოს გრანულაციას და კანის დახურვას (ხარისხი 2B).

**გართულებების მართვა**

**ტრავმული და არა-ტრავმული პაციენტები**

წინასწარი ზომები ენტერო- ატმოსფერული ფისტულის (entero-atmospheric fistula) და გაყინული მუცლის (frozen abdomen) პრევენციისათვის სავალდებულოა (მაგ. მუცლის კედლის ადრეული დახურვა, ნაწლავის დაფარვა პლასტმასის ფურცლებით, ბადექონით ან კანით, არ უნდა მოხდეს სინთეზური პროთეზის უშუალო გამოყენება ნაწლავის მარყუქებზე, არ უნდა მოხდეს NPWT-ს გამოყენება უშუალოდ ვისცერაზე და ნაწლავის ანასტომოზის ღრმა ჩაწევა ნაწლავის მარყუქების ქვეშ) (ხარისხი 1C).

ენტერო-ატმოსფერული ფისტულის მართვა უნდა იყოს მორგებული პაციენტის მდგომარეობის, ფისტულიდან გამონადენის, პოზიციის და ანატომიური მანასიათებლების შესაბამისად (ხარისხი 1C).

ენტერო-ატმოსფერული ფისტულის არსებობისას გაზრდილია კალორიების მიღება და ცილაზე მოთხოვნილება; ანოტიის ბალანსი უნდა შეფასდეს, დარეგულირდეს და მოხდეს ცილის შევსება (ხარისხი 1C).

კვება უნდა იყოს განხილული და ოპტიმიზირებული ენტერო-ატმოსფერული ფისტულის შესაბამისად (ხარისხი 1C).

ენტერო-ატმოსფერული ფისტულის გამონადენის იზოლაცია არსებითია ჭრილობის სათანადო შეხორცებისათვის. ჭრილობის სეპარაცია სხვა და სხვა განყოფილებებზე ფისტულიდან გამონადენის შეკრებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია (ხარისხი 2A).

ღია მუცლის დროს ენტერო-ატმოსფერული ფისტულის არსებობისას, უარყოფითი წნევით ჭრილობის მკურნალობა შესაძლებელია ხდის გამონადენის იზოლაციას და ჭრილობის შეხორცების მიღწევას. (ხარისხი 2A).

ენტერო-ატმოსფერული ფისტულის საბოლოო მართვა უნდა გადავადდეს პაციენტის გამოჯანმრთელებამდე და ჭრილობის მთლიანად შეხორცებამდე (ხარისხი 1C).

**პერიტონიტი**

ღია მუცელი წარმოადგენს გადაუდებელი ოპერაციის ვარიანტს პაციენტებში მძიმე პერიტონიტით და მძიმე სეფსისით /სეპტიური შოკით შემდეგ გარემოებებში: შემოკლებული ლაპაროტომია მძიმე ფიზიოლოგიური დარღვევის გამო, გადავადებული ნაწლავური ანასტომოზის საჭიროება, ნაწლავის იშემიის გამო დაგეგმილი განმეორებითი გამოკვლევა, პერიტონიტის მუდმივი წყარო (წყაროს კონტროლის უშედეგობა) ან ფართო ვისცერალური შეშუპება აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის განვითარების საშიშროებით (ხარისხი 2C)

ზოგიერთ პაციენტში მწვავე პეტირონიტიით, შეიძლება მოხდეს დაავადების პროგრესირება სეპტიკურ შოკამდე, რა დროსაც საბოლოო ქირურგიული პროცედურები შეუძლებელი გახდება. ასეთ შემთხვევებში ქირურგიული ოპერაცია უნდა შემოკლდე ხანდაზმულ პაციენტებშიც კი.

ჰიპოტენზიურ პაციენტებში, რომლებსაც სჭირდებათ მაღალი დოზებით ვაზოპრესორული ან

ინოტროპული საშუალებების ინფუზია, ნაწლავის უწყვეტობის აღდგენა შეიძლება გადავადდეს [21].

წყაროს არასრული კონტროლის ან ვისცერალური შეშუპების არსებობისას და/ან მუცლის კედლის დაქვეითებული ელასტიურობისას ფასციის სრული პირველადი დახურვის მცდელობა არ უნდა მოხდეს IAH/ACS-ის მაღალი რისკის გამო. ყველა ამ სიტუაციებში მუცელი შეიძლება დატოვებული იქნას ღიად. თუმცა, არ არსებობს საბოლოო მონაცემები OA-ს გამოყენების შესახებ მწვავე პერიტონიტის დროს, და ამგვარად საჭიროა სიფრთხილე ამ გარემოებებში OA-ს გამოყენებისას.

**ვასკულარული გადაუდებელი მდგომარეობები**

ღია მუცელი მიზანშეწონილია ჰემორაგიული ვასკულარული კატასტროფების შემდგომ, როგორცაა მაგ. მუცლის აორტის ანევრიზმის რუპტურა (ხარისხი 1C)

ღია მუცელი მიზანშეწონილია ჯორჯლის მწვავე იშემიური ინსულტის ქირურგიული მკურნალობის შემდეგ (ხარისხი 2C)



მუცლის აორტის ანევრიზმის რეპერტორის მქონე პაციენტების 20% -ს უვითარდება ACS. სიკვდილიანობა მაღალია (30-50%) და თითქმის ორმაგდება ACS-ს შემთხვევაში [23, 24]. OA ამცირებს ACS-ს შემთხვევათა სიხშირეს [25]. არ არსებობს განსაზღვრული ჩვენებები რა მუცლის მიმართ მიმართ; ღია მუცლის (OA) ფარდობითი ჩვენებებია მასიური რენიმაცია, ფიზიოლოგიური დარღვევები, ფასციის დაჭიმულობა დახურვისას, აორტის ბალონური ოკლუზიის გამოყენება და სისხლის დაკარგვა > 5 ლ. [25-27].

ხანდაზმული ასაკი არ არის DCM-ს [20] უკუჩვენება.

ACS შეიძლება მოხდეს ენდოვასკულური (EVAR-even after endovascular repair) აღდგენის შემდეგაც კი, და ძირითადი რისკ ფაქტორი, როგორც ჩანს არის, მასიური რენიმაცია [23]. ღია მუცლის (OA) მართვით გამოწვეული იმპლანტატის ინფექციის რისკი, როგორც ჩანს, დაბალია.

OA-ს გამოყენება პერფუზიის აღდგენის შემდეგ ჯორჯლის მწვავე იშემიის (acute mesenteric ischemia) მქონე პაციენტში, როგორცაა ოკლუზიური პროქსიმალური ან დისტალური ჯორჯლის ზედა არტერიის ემბოლია, საზღვრის ნეკროზი AAA abdominal aorta aneurysm) -ს აღდგენის (ღია ან ენდოვასკულური) შემდეგ და ჯორჯლის არა-ოკლუზიური იშემია (მაგ., პოსტ-გულის გაჩერება ან რენიმაცია შოკის / გულის გაჩერების გამო) უნდა გათვალისწინებული იქნას ფიზიოლოგიური დარღვევების და ნაწლავის შეშუპების შემთხვევაში და განმეორებითი გამოკვლევების- second look ჩატარების ან გადავადებული ანასტომოზის - (delayed anastomosis) აუცილებლობისას. [29-31].

ჯორჯლის ვენის თრომბოზი, რომელიც საჭიროებს ლაპაროტომიას, რუტინულად არ მოითხოვს OA-ს, ისე ხშირად როგორც ჯორჯლის იშემია; [32]; თუმცა IAH / ACS-ის რისკი ავალდებულებს ყურადღება მიექცეს IAP-ს.

### პანკრეატიტი

პაციენტებში მძიმე მწვავე პანკრეატიტით, რომელიც არ რეაგირებს საფუნქციურ დეკომპრესიას და ღია მუცელი ეფექტურია აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის სამკურნალოდ (ხარისხი 2C)

მუცლის ღიად დატოვება ინფიცირებული პანკრეასის ნეკროზის გამო ჩატარებული ქირურგიული ნეკროსექტომიის -necrosectomy შემდეგ არ არის რეკომენდირებული, იმ სიტუაციების გარდა, როდესაც არსებობს აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის განვითარების რისკ-ფაქტორები (ხარისხი 1C).

MOF -multiorgan failure (მულტიორგანული უკმარისობა) ფაქტორი ძირითადად დაკავშირებულია მწვავე პანკრეატიტის (AP- acute pancreatitis) დროს სიკვდილიანობასთან, განსაკუთრებით ინფიცირებული ნეკროზის არსებობისას [33-37]. როგორც მრავალი სხვა მდგომარეობის დროს, მეორადმა IAH / ACS-მა შეიძლება დაამძიმოს MOF მანკიერ წრეში [38]. უნდა მოხდეს IAH / ACS-ს პრევენცია და მკურნალობა

რამდენადაც ეს შესაძლებელია არა-ქირურგიული ღონისძიებებით. ქირურგიული დეკომპრესია ბოლო, მაგრამ ეფექტური საშუალებაა; ის არ უნდა გადაიდოს ACS-ის შემთხვევაში [4, 39]. პირველი კვირის შემდეგ პანკრეასის ნეკროზი შეიძლება გახდეს ინფიცირებული [40]. ორგანოების უკმარისობა, ადრეული ბაქტერიემია და პანკრეასის ნეკროზის დონე არის ინფექციასთან დაკავშირებული ფაქტორები [40]. ქირურგიული ნეკროსექტომია უნდა იყოს გათვალისწინებული, როდესაც უფრო კონსერვატიული მართვა, როგორცაა პერკუტანული დრენირება უშედეგოა [41]. ნეკროსექტომიის შემთხვევაში, ღია მუცელი (OA) შეიძლება გავითვალისწინოთ, მაგრამ ის არ არის სავალდებულო. ის უნდა გაკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს IAH / ACS-ის რისკები.

### მართვა

#### ტრავმული და არა-ტრავმული პაციენტები

#### ICU (პაციენტის ინტენსიური მოვლის განყოფილებაში) მართვა

ღია მუცლის (OA) მართვაში დაზიანების კონტროლის რენიმაციის (Damage Control Resuscitation) როლი ფუნდამენტურია და შეიძლება გავლენა მოახდინოს გამოსავალზე (ხარისხი 2A)

მულტიცივილინარული მიდგომა სასურველია, განსაკუთრებით პაციენტის ინტენსიური მოვლის განყოფილებაში (ICU) მიღებისას (ხარისხი 2A)

ინტრა-აბდომინალური წნევის გაზომვა აუცილებელია IAH / ACS რისკის ქვეშ მყოფ კრიტიკულად დაავადებულ პაციენტებში. (ხარისხი 1B)

ფიზიოლოგიური ოპტიმიზაცია მუცლის ადრეული დახურვის ერთ-ერთი ჩვენებაა (დეტერმინანტია) (ხარისხი 2A)

ინოტროპული და ვაზოპრესორული საშუალებების გამოყენება უნდა იყოს მორგებული პაციენტის მდგომარეობისა და შესრულებული ქირურგიული ჩარევების შესაბამისად (ხარისხი 1A)

სითხევანი ბალანსი უნდა იყოს ყურადღებით დაკვირვების ქვეშ (ხარისხი 2A) დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სხეულის ტემპერატურას, თავიდან უნდა იქნას აცილებული ჰიპოთერმია (ხარისხი 2A)

კოაგულოპათიის ან სისხლდენის მაღალი რისკის არსებობისას უარყოფითი წნევა - negative pressure უნდა შემცირდეს და დარეგულირდეს, და დაბალანსდეს უარყოფითი წნევისა და ჰემორაგიული რისკის მკურნალობის აუცილებლობა (ხარისხი 2B)

საწყისი მართვა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

DCR - damage control resuscitation დაზიანების კონტროლის რეანიმაცია DCM (damage control management) -ის ნაწილია, რომელიც გამოიყენება მძიმედ დაზარებული და მძიმე ფიზიოლოგიური დარღვევების მქონე პაციენტების მკურნალობაში. იგი გავივლის გარკვეულ ფუნდამენტურ მოქმედებებს, როგორცაა მოცულობითი რეანიმაცია, კოაგულოპათიის შექცევა, აციდოზის კორექცია და ყველა სხვა შესაბამისი რეანიმაციული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ნორმალური ფიზიოლოგიის აღდგენას. სითხეობრივი სტატუსი, კვება და რესპირატორული მექანიკა ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული OA- ს მართვაში. ფაქტობრივად მორეციდივე ACS დაკავშირებულია მაღალ სიკვდილიანობასთან და უნდა იქნას გათვალისწინებული. [42-44].

აბდომინალური წნევა უნდა გაიზომოს ყველა პაციენტში IAH / ACS განვითარების რისკით; ფაქტიურად გამოვლინდა, რომ კლინიკური გამოკვლევა არაა უსტია IAH / ACS-ის დიაგნოსტიკაში [45]. ზოგადი პრინციპის სახით, ის უნდა გაიზომოს ყოველ 12 საათში და ყოველ 4-6 საათში თუ გამოვლინდა ACS / IAH ან განვითარდა ორგანული უკმარისობა.

ფიზიოლოგიის ოპტიმიზაცია აუცილებელია მუცლის ღრუს ადრეული დახურვისთვის. ფაქტიურად, გახანგრძლივებულმა ღია მუცელმა(OA)- მ შეიძლება დააყვინთოს ექსტუბაცია, გაზარდოს EAF (entero-atmospheric fistula) ის და გაყინული მუცლის(frozen abdomen) რისკი და გაზარდოს გართულებები [46].

OA-ს მქონე პაციენტების ოპტიმალური მოვლა მოითხოვს პაციენტის მართვაში მონაწილე ყველა გუნდის მულტიდისციპლინარულ თანამშრომლობას.

სითხეობრივ დაკარგვის რეალური ხარისხის რაოდენობრივი შეფასება OA-ს დროს და მუცლის ღრუბითი შეხვევისას შეუძლებელია. კარგადაა ცნობილი, რომ პაციენტის ფიზიოლოგია უარესდება ჰიპოთერმიით და მასთან დაკავშირებული ჰიპოპერფუზიის ეფექტებით, როგორებიცაა გულის ფუნქციის დათრგუნვა, ჟანგბადის მიწოდების შემცირება, კოაგულაციის კასკადის ცვლილება და აციდოზი.

ტრავმულ პაციენტებში “ლეტალური ტრიადა-lethal triad” (ჰოპოთერმია, აციდოზი, კოაგულოპატია) უნდა შეწყდეს სწრაფად [47-53].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრავმულ პაციენტებში სიკვდილიანობა იზრდება სხეულის შიდა ტემპერატურის მნიშვნელოვანი ვარდნისას [54].

კომერციული NPWT(negative pressure wound therapy) სისტემები საგრძნობლად ამცირებენ სითხეობრივ დაკარგვას, მაგრამ არა-კომერციული კვლავ ინარჩუნებენ სითხეობრივ ობოლაციის უნარს. ამ მიზეზით, სითხეობრივ კარგვის კონტროლი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, განსაკუთრებით სიტუაციებში, სადაც გამოიყენება არა-კომერციული სისტემები.

ინტენსიური მოვლის განყოფილებაში ყოფნისას, მნიშვნელოვანია ჰიპნოზის საშუალებით ანალგეზიის უზრუნველყოფა და მულტიმოდალური ანალგეზიის ჩატარება, რათა შემცირდეს ოპიატების ინფუზია, უნდა შევეცადოთ პაციენტის შენარჩუნებას “ფხიზელი მდგომარეობაში”, მაგრამ რომ კარგად იყოს ადაპტირებული

მექანიკურ ვენტილაციასთან. უფრო მეტიც, უნდა გამოყენებული იქნას დამცავი მექანიკური ვენტილაციის სტრატეგიები.

სითხეობრივი ბალანსი ასევე მნიშვნელოვანია OA-ს მართვაში და ყურადღებით უნდა იყოს შესწავლილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი ან არასაკმარისი რეანიმაცია. შარდის ადეკვატური გამოყოფის ყურადღებით მონიტორინგი და შენარჩუნება შეიძლება დაგვხმაროს რეანიმაციის ეფექტის ადეკვატურობის შეფასებაში. გულის წუთმოცულობის (CO - cardiac output) უწყვეტი მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავს დაბალ / ნორმალურ მნიშვნელობებს, აუცილებელია სითხეობრივ გადატვირთვისა და ვაზოპრესორის არასწორად გამოყენების თავიდან აცილებას. თუ ვაზოპრესორების მომატება იწვევს დაბალ CO-ს, და სითხეზე რეაგირება გარდამავალია, უნდა განიხილოთ მიზნობრივი მკურნალობები (ინოტროპული საშუალებების ჩათვლით) რომელიც საუკეთესო კომპრომისია MAP-ს, CO-სა და სითხის რაოდენობას შორის. მაღალი ინჩქარით სითხის ინფუზიები თავიდან უნდა იქნას აცილებული. ამის საპირისპიროდ, უფრო მიზანშეწონილია შეძლებისდაგვარად, ხშირი, მცირე მოცულობის სითხის ბოლუსები. ჰიპერტონული კრისტალოიდური და კოლოიდური რეანიმაცია, როგორც ჩანს, ამცირებს იატროგენული, მიზანმიმართული რეანიმაციის რისკს, და ზრდის IAP-ს. პაციენტის ყოველდღიური წონა შეიძლება დაგვხმაროს სითხის შეკავების შეფასებაში.

ინოტროპული საშუალებების ინფუზია უნდა იყოს დაბალანსებული პაციენტის მდგომარეობის, ჩატარებული ქირურგიული პროცედურების და შემდგომი გართულებების პრევენციის საჭიროების გათვალისწინებით. [56, 57].

ვოლუმეტრიაზე დამყარებული მონიტორინგის ტექნოლოგიები შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს ჰემოდინამიკური შეფასებისათვის DCR (damage control resuscitation) ფაზების დროს კრიტიკულად დაავადებულ პაციენტებში. ფაქტიურად, მომატებულმა ინტრა-აბდომინალურმა და ინტრატორაკალურმა წნევამ შეიძლება შეამციროს ტრადიციული წნევაზე დამყარებული პარამეტრებით მიღებული გამოკვების მნიშვნელობები, როგორცაა ფილტვის არტერიის ოკლუზიური წნევა და ცენტრალური ვენური წნევა. ამ პარამეტრების შეცვლამ შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს არასწორი გადაწყვეტილების მიღება სითხის სწორ სტატუსთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს საჭირო რაოდენობის სითხის გამოყენება. ეს ბალანსი არსებითად მნიშვნელოვანია ასევე ფასციის პირველადი დახურვის ქირურგიული წარმატების ოპტიმიზაციისათვის. [12, 61, 62].

### მუცლის ღრუბითი დახურვის ტექნიკა

ჭრილობის უარყოფითი წნევით მკურნალობა (NPWT - negative pressure wound therapy) ფასციის უწყვეტი ტრაქციით უნდა იქნას შემოთავაზებული, როგორც მუცლის ღრუბითი დახურვის უპირატესი ტექნიკა (ხარისხი 2B).

მუცლის ღრუბითი დახურვა უარყოფითი წნევის გარეშე (მაგ. ბოგოტას ჩანთა) შეიძლება

გამოყენებულ იქნას დაბალი რესურსების სიტუაციებში, სადაც მიღებულია უფრო დაბალი ფასების დაყოფილებული დახურვის სინშირის მაჩვენებელი და უფრო მაღალი ნაწლავის ფისტულის სინშირის მაჩვენებელი (ხარისხი 2A).

არ შეიძლება საბოლოო რეკომენდაციის მიცემა მუცლის დროებით დახურვაზე NPWT-ით სითხის ინსტილაციასთან კომბინაციაში, მაშინაც კი, როცა ის თითქოს აუმჯობესებს შედეგებს ტრავმულ პაციენტებში (ხარისხი არ არის).

აღწერილია რამდენიმე სტრატეგია OA-ს შენარჩუნებისათვის. ისინი გვიჩვენებენ ფასების გადავადებით დახურვის და EAF (entero-atmospheric fistula) რისკის სხვადასხვა სინშირის მაჩვენებლებს. ზოგადად, დინამიურ კომპონენტთან დაკავშირებული უარყოფითი წნევა (ბადის საშუალებით ფასციის ტრაქცია ან დინამიკური ნაკერები) იძლევა უკეთესი შედეგების მიღწევის საშუალებას ფასციის გადავადებული დახურვის თვალსაზრისით მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს, მაგრამ დინამიური ნაკერები უფრო ხშირად იწვევს ფისტულას. უარყოფითი წნევა დინამიური კომპონენტის გარეშე (ბარკერის VAC - Vacuum assisted closure ან კომერციული პროდუქტები) გვიჩვენებს ზომიერად გადავადებულ ფასციის დახურვის მაჩვენებელს, და უარყოფითი წნევის გარეშე ბადით დახურვის მსგავს ფისტულის სინშირის მაჩვენებელს.

„ღია მუცლის საერთაშორისო რეესტრის“ (IROA - International Register of Open Abdomen - ს კვლევა) ბოლო მონაცემები აჩვენებს, რომ OA-ს სხვადასხვა მეთოდები იწვევდა სხვადასხვა შედეგებს ნამკურნალევი დაავადების (ტრავმა და მძიმე პერიტონიტი) და იმის მიხედვით, თუ იყო ნამკურნალევი უარყოფითი წნევით ან მის გარეშე, მუცლის დახურვისა და სიკვდილიანობის სინშირის თვალსაზრისით.

შედეგები მიუთითებდა არა-უარყოფითი წნევის სიტემების სასარგებლოდ ტრავმულ პაციენტებში, და უარყოფითი წნევით დროებითი დახურვის სასარგებლოდ მძიმე პერიტონიტის მქონე პაციენტებში.

გარდა ამისა, ბოლოდროინდელი ერთ-ცენტრიანი RCT-ის ერთმანეთისგან განსხვავებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ NPWT და სითხის ინსტილაცია, როგორც ჩანს, აუმჯობესებს ტრავმული პაციენტების გამოსავლებს ადრეული და პირველადი დახურვის თვალსაზრისით.

OA-ს მართვაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ანტიბიოტიკოზული თერაპიის დაბალანსების აუცილებლობა შიდა აბდომინალური სითხეების დადებითი კულტურის მხრივ. არსებობს ორი ზოგადი გამოყენებული ვარიანტი ლიტერატურაში ძლიერი მტკიცებულების გარეშე: ყველა კულტურირებული მიკროორგანიზმების (სტაფილოკოკის, კანდიდას და MDR გრამ-უარყოფითი ბაცილების, მათ შორის Pseudomonas ახალი პროპორციები) მკურნალობა ან „დაველოდოთ და ვნახოთ“ სტრატეგია.

WSES გვთავაზობს, რომ დავიცვათ ინტრა-აბდომინალური ინფექციების გაიდლაინები.

## განმეორებითი გამოკვლევა საბოლოო დახურვამდე

ღია მუცლის განმეორებითი გამოკვლევა უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს 24-48 საათისა ინდექსის შემდეგ და ნებისმიერი მომდევნო ოპერაციის შემდეგ, როცა წინა ოპერაციიდან ხანგრძლივობის შემცირებისას პაციენტის არ-გაუმჯობესება და ჰემოდინამიკური არასტაბილურობის ხარისხი იზრდება (ხარისხი 1C).

მუცელი უნდა შენარჩუნდეს ღიად, თუ მიმდინარე რეანიმაციის საჭიროება და/ან დაბინძურების წყაროს არსებობა გრძელდება, თუ საჭიროა გადავადებული ნაწლავის ანასტომოზი, თუ არსებობს იშემიური ნაწლავის დაგეგმილი განმეორებითი გამოკვლევის საჭიროება, და ბოლოს, თუ არსებობს აბდომინალური კომპარტმენტ სინდრომის განვითარების საშიშროება (ხარისხი 2B).

OA-ს განმეორებითი გამოკვლევის ჩვენებები შეიძლება განსხვავდებოდეს ტრავმულ და არა-ტრავმულ პაციენტებში. ზოგადად, პაციენტის არა-გაუმჯობესება შესაძლოა გამოწვეული იყოს ინტრა-აბდომინალური მიზეზით. OA პაციენტებში განმეორებითი ოპერაციის დროითი ჩარჩოების შესახებ საბოლოო მონაცემები არ არსებობს. ზოგადად რეკომენდირებულია, რომ OA პაციენტებს უნდა ჩაუტარდეთ განმეორებითი გამოკვლევა 24-72 საათის შემდეგ საწყისი ან ნებისმიერი შემდგომი ქირურგიული ჩარევადან. ტრავმულ პაციენტებთან დაკავშირებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ განმეორებითი გამოკვლევის დრო ამცირებს ფასციის პირველადი დახურვის სინშირის მაჩვენებელს 1,1%-ით ყოველ საათში ინდექსური ოპერაციიდან 24 საათის შემდეგ. უფრო მეტიც, გართულებების გაზრდილი მაჩვენებელი დაფიქსირდა პაციენტებში, რომლებსაც ჩაუტარდათ პირველი განმეორებითი ოპერაცია 48 საათის შემდეგ. არა-ტრავმულ პაციენტებში მუცლის ღრუს განმეორებითი გამოკვლევის ჩვენება ნაკლებად არის განსაზღვრული და, როგორც წესი, გამოწვეულია DCM-ის გაგრძელების აუცილებლობით, ინფექციის წყაროს სრული კონტროლის შეუძლებლობით ან ნაწლავის ვასკულარიზაციის განმეორებითი შეფასების აუცილებლობით, ან ACS შესაძლებლობებთან დაკავშირებული საშიშროებით.

